

# გერცელ ბააზოვი

## იუდევალი

თელ-ავივი  
2002

ବ୍ୟାପାର କେନ୍ଦ୍ର  
ମୁଦ୍ରଣ ଓ ପ୍ରକାଶନ  
ପାଠ୍ୟବିଷୟ ଏବଂ ପରିଚାଳନା  
ପାଠ୍ୟବିଷୟ ଏବଂ ପରିଚାଳନା

ବ୍ୟାପାର କେନ୍ଦ୍ର

ମୁଦ୍ରଣ / ପ୍ରକାଶନ

ପାଠ୍ୟବିଷୟ

୨୨. ୧୯୦୨.

# გერცელ ბააზოვი

# იუდეველი

თელ-ავივი



2002

# ଧର୍ମ ଓ ଧାର୍ଯ୍ୟ ଧର୍ମଓଧା

(Chir ha'chirim)

ତାର୍ଗମନି ଶବ୍ଦରୀଲୋକଙ୍କ  
ଧର୍ମଓଧା ଧାର୍ଯ୍ୟବିଜ୍ଞାନ

ଓଡ଼ିଆ  
1927



## ძველი ეპრაული პოეზიიდან

უკვდავი პოემა—პასტორალი, რომლის ახალ თარგმანს მკითხველი ქვემოთ გაეცნობა, გადმოცემით ებრაელების სახელოვან მეფეს, სოლომონს, მიეწერება. ამ პოემას კარგად იცნობდენ ჩვენი ძველები, რომლებმაც მოგვცეს მისი ჩინებული თარგმანი. სამწუხაროდ დღემდე იმ ძველი ტექსტის რიგიანი კრიტიკული გამოცემა არ მოგვეპოება. ეკლესია ამ პოემას თავისებურად ხსნიდა და იყენებდა. მოუსყიდველმა სამეცნიერო კრიტიკამ კი ამ უკვდავ ნაწარმოებს დაუბრუნა მისი პირვანდელი წმინდა ლიტერატურული და ესოეტიური ღირებულება. როგორც ჩანს, ამ ღირებულებას ზოგჯერ ჩვენი ძველებიც კარგად ჰგრძნობდენ, რითაც ალბად აიხსნება ის მოვლენა, რომ უკვე ხალხურმა ქართულმა პოეზიამ საუცხოოდ გამოიყენა ამ პოემის სიუჟეტი თავის „ეთერიანში“ ანუ „აბესალომ და ეთერში“, ხოლო მე-XVIII საუკუნის დიღმა ლირიკოსმა და სიყვარულის უბადლო მღერალმა ბესიქმა მოხდენილად ჩააკერა თავისი „რძალ დედამთილიანის“ ერთ საუკეთესო ლირიკულ ადგილას მთელი ფრაზა ამ პოემიდან (თავი 2, მუხ. 6, შეად. „რძალ-დედამთილიანი“ ხანები 91 და 93).

ეს პოემა ყველა თანამედროვე კულტურულ ენაზეა ნა-  
თარგმნი. დღემდე ჩვენ მისი მხოლოდ ძველი თარგმანები  
მოგვეპოვებოდა და, როგორც საფიქრებელია, არა პირ-  
დაპირ ებრაული დედნიდან. ამიტომ უღრმესი მადლო-  
ბის ლირიკა ახალგაზრდა მგოსანი გერცელ ბააზოვი, რომე-  
ლმაც იტვირთა ამ პოემის გაღმოლება პირდაპირ ებრაუ-  
ლიდან თანამედროვე ქართულ ენაზე.

ს. გორგაძე.

1923, VI, 18.

## მთარგმნელის შენიშვნები

ქართულ ენაზე „ქებათა ქების“ ძველი ტექსტი გამოცემულია პროფესორ ალ. ცაგარელის მიერ. („Сведения о памятниках Грузинск. письменности“. პირველი გამოცემა. ქ. სანკტ-პეტერბურგი. 1886 წ. გვერდი 17–56) ხოლო თანამედროვე ენაზე გადმოკეთება ეკუთვნის პეტრე მირიანაშვილს, რომელიც დაიბეჭდა ამ ორიოდე წლის წინად.

ამ ორთავე გამოცემებში დაშვებულია მრავალი შეუწყნარებელი დეფექტები, რაც ადვილი ასახსნელია იმ გარემოებით, რომ ძველი ტექსტი, უძველესი ხელთხაწერია და გამორკვეული არაა, საიდან ისარგებლა მისმა გადამწერმა, ხოლო რაც შეეხება მირიანაშვილის თარგმანს, ის გადმოკეთებულია თარგმანიდან და თარგმანის თარგმანს ყოველთვის ახასიათებს ასეთი სამწუხარო მოვლენა.

რათა ქართულ ენაზე ეს დეფექტები გაწმენდილიყო, ამიტომ მე გადმოვთარგმნე ეს ნაწარმოები პირდაპირ დენიდან. ამ თარგმანს ძირითად საფუძვლად უძევს „რომის ქვრივის და ძმების“ გამოცემა ებრაული ბიბლიისა (ქ. ვილნი. 1907 წ. ნაწ. I.I.I. გვ. 295 – 333). თარგმნის დროს ვსარგებლობდი აგრეთვე შემდეგი ევროპიული თარგმნებით 1) ფრანგულ ენაზე: а) La Sainte Bible, par Louis Segond. Paris. 1910. ბ) ხანდახან ვხარგებლობდი მეორე ფრანგული თარგმანითაც Ostervald-ის ვერსიით.

(Paris. 1911) 2) გერმანულ ენაზე: Die Bibel. მარტინ ლუთერის მიერ თარგმნილი. (Berlin 1911) 3) რუსულ ენაზე: а) Библия. Санктпетербург. 1908. (სინდიდის გამოცემა) б) А. Эфрос-ის თარგმანი „გალობათა გალობა“.

ამას გარდა ხელთ მქონდა ბ-ნი სერგი გორგაძის მიერ ზემოხსენებული თარგმანების მიხედვით შესწორებული, ძველი ქართული ტექსტი ათონური დაბადებისა, დასაბეჭდად გამზადებული. აქვე მინდა დიდი მადლობით მოვიხსენიო ბ-ნი სერგო გორგაძე, რომელმაც აღმომიჩინა დახმარება ამ თარგმანის შესრულების დროს.

დიდრონ კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ჩამატებულია ჩემ მიერ ტექსტის გაგების გასაადვილებლად. ტექსტის ტაქტებად დაწყობა და ნაკვეთების დაყოფა Louis Segond-ის მიხედვითაა შესრულებული. დიდრონი და წვრილი არაბული ციფრებით არშინებზე აღნიშნული მაქვს ებრაული დედნის ტრადიციული დაყოფა თავებად და მუხლებად.

გერცელ ბააზოვი.

---

ეს თარგმანი მოთავსებული იყო 1923 წ. გაზ. „ტრიბუნა“-ში (№ 504). ამის შემდეგ ამხ ნათან ელიაშვილის მიერაც იქნა თარგმნილი და გამოცემული ცალკე წიგნაკად, მაგრამ ეს ცდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ეს ნაწარმოები ჩამოსხმული ყოფილიყო ლექსის ფორმებში და ამის გამო ამ თარგმანმაც ბევრი იზარალა.

რათა დაცული ყოფილიყო ამ ნაწარმოების მთლიანობა და სისწორე, მე საჭიროდ ვსცანი ჩემი თარგმანის გამძვეყნება ცალკე წიგნაკად.

გ. ბ.

ტფილისი, ნოემბერი, 1927 წ.

## 1. 1. გალობათა გალობა სოლომონისა.

• •

2. [ნეტავი] მაყოლებდეს თავისი პირის კოცნით,  
რაღაც შენი ალერსი ღვინოზე უკეთესია.
3. შენი ზეთების – გადმომდინარი ზეთის –  
საამო სუნია შენი სახელი;  
ამისთვის ქალწულებს უყვარხართ.
4. მიმიზიდე შენკენ [და] გავიქცეთ!  
მეფემ მიმიყვანა თავის ოთახებში.  
ვილხენთ და ვიმხიარულებთ შენთვის,  
მოვიგონებთ შენს ალერსს, ღვინოს რომ სჭობია.  
სისწორით უყვარხართ შენ!
5. შავი ვარ, მაგრამ ლამაზი, იერუსალიმის ასულნო,  
როგორც კედარის კარვები და სოლომონის ფარ-  
დაგები.
6. ნუ მიცერით, რომ შავი ვარ,  
რაღაც მზემ დამწვა!  
დედიჩემის შვილები გამიჯავრდენ,  
დამსვეს ვენახების სადარაჭოდ,  
მე კი ჩემ ვენახსაც ვერ ვუდარაჭე.

7. გამაგებინე, რასაც ეტრფის ჩემი სული:  
 სად მწყემსავ,  
 სად აძოვებ შუადღისას?  
 რად უნდა ვიყო მოხეტიალე  
 შენი ამხანაგების ჯოგებთან?
8. – თუ შენ არ იცი, მშვენიერო ქალთა შორის,  
 გაჰყევი ცხვრის კვალს  
 და აძოვე შენი თიქნები  
 მწყემსების ბინებთან.
- \* \*
9. ჩემ დედალ ცხენს [შებმულს] ფარაონის ეტლებში  
 შეგადარე, მეგობარო!
10. ლამაზია შენი ლოყები მძივებში  
 შენი ყელი – ფარლულებში.
11. ოქროს მძივებს გაგიკეთებთ შენ  
 ვერცხლის წერტილებით.
12. – სანამ მეფე სუფრაზე იყო,  
 ჩემმა ნარდმა სუნი გამოსცა.
13. მურის თაიგულია ჩემი საყვარელი ჩემთვის;  
 ის ჩემ ძუძუებში მოისვენებს.
14. კვიპრის მტევანია ჩემი საყვარელი ჩემთვის  
 ყენ–გედის ვენახებში.
15. – მშვენიერი ხარ, მეგობარო, მშვენიერი:  
 შენი თვალები მტრედებია.
16. – მშვენიერი ხარ, საყვარელო, და საამო;  
 ჩვენი საწოლიც მობიბინეა.
17. – ჩვენი სახლების ბანები ნაძვებია,  
 ჩვენი ავეჯეულობა კვიპაროზია.

## 2.

1. —მე ნარგიზი ვარ სარონისა,  
შროშანი ვაკეებისა.
  2. —როგორც შროშანი ეკლებში,  
ისეა ჩემი მეგობარი ქალიშვილებში.
  3. —როგორც ვაშლი ტყის ხეებში,  
ჩემი საყვარელიც ისეა ვაუებში;  
მის ჩრდილში ვნატრობდი და დავჭიქი,  
და მისი ნაყოფი გაუტება ჩემ სასას.
  4. მიმიყვანა ღვინის სახლში  
და მისი დროშა ჩემზე სიყვარულია!
  5. მომამაგრეთ ყურძნის სურნელებით,  
მომიწყვეთ საწოლი ვაშლებისა,  
რაღანაც ავად ვარ სიყვარულით!
  6. მისი მარცხენა [ხელი] ჩემი თავის ქვეშაა,  
და მისი მარჯვენა — მეხვევა.
  7. —გაფიცებთ ოქვენ, იერუსალიმის ასულნო,  
ნიამორებს, გინდ მინდვრის ფურ-ირმებს:  
არ გააღვიძოთ და არ გამოაფხიზოთ სიყვარული,  
სანამ მოინდომებდეს.
- \* \*
8. საყვარლის ხმა მესმის!  
აგერ მოდის,  
მორბის მთებზე,  
მოხტის ქედებზე!

9. ჩემი საყვარელი ჰგავს ნიამორს  
ან ირმის ნუკრს!  
აგერ ის დგას ჩვენი კედლის უკან,  
იყურება ფანჯრებიდან,  
იცქირება ჭუჭრუტანებიდან.
10. ჩემმა საყვარელმა მიპასუხა და მითხრა:  
„ადექ, ჩემო მეგობარო, ჩემო მშვენიერო, და წამოდი!
11. რადგან აგერ ზამთარმა გაიარა,  
წვიმამ გადილო და წავიდა;
12. ყვავილები გამოჩნდენ ქვეყნად,  
სიმღერის ლრომ მოაწია  
და გვრიტის ხმა გაისმა ჩვენს ქვეყანაში.
13. ლელვმა გამოილო კუკურები  
და ვაზებმა აყვავებისას გამოსცეს სუნი.  
ადექ, ჩემო მეგობარო, ჩემო მშვენიერო, და წამოდი!
14. ჩემო მტრედო! კლდის ნაპრალებზე,  
ფრიალოს საფეხურებზე  
დამანახე შენი სახე,  
გამაგონე შენი ხმა,  
რადგან შენი ხმა საამოა და შენი სახე – ლამაზი“...
15. – დაგვიჭირეთ მელები,  
პატარა მელები, ვენახის გამფუჭებლები,  
[რადგან] ჩვენი ვენახები ყვავიან! –
16. – ჩემი საყვარელი მე [მეკუთვნის] და მე მას,  
ვინც შროშანებში მწყესავს.
17. სანამ დღე აგრილდებოდეს  
და ჩრდილები გაიფანტებოდენ,  
დატრიალდი! დაემსგავსე, ჩემო საყვარელო,  
ნიამორს ან ირმის ნუკრს მთებს შუა.

### 3.

ჩემ საწოლზე ღამეებში

ვეძებდი იმას, ვისაც ეტრფის ჩემი სული;

1. ვეძებდი და ვერ ვიპოვე.

მოდი ავდგები და შემოვივლი ქალაქს,

ქუჩებით და მოედნებით,

2. მოვძებნი მას, ვისაც ეტრფის ჩემი სული,

ვეძებდი და ვერ ვიპოვე.

მიპოვეს ყარაულებმა, რომლებიც გარს უვლიდენ

ქალაქს:

3. „არ გინახავთ, ვისაც ეტრფის ჩემი სული?“

როგორც კი გავსცდი მათ,

ვიპოვე, ვისაც ეტრფის ჩემი სული.

4. ხელი ვსტაცე და არ მოვეშვი,

სანამ მივიყვანდი დედიჩემის სახლში

და ჩემი მშობლის ოთახში.

გაფიცებთ თქვენ, იქრუსალიმის ასულნო,

ნიამორებს, გინდ მინდვრის ფურ-იჩმებს:

5. არ გააღვიძოთ და არ გამოაფხიზლოთ სიყვარული,

სანამ მოინდომებდეს!

\* \*

ვინაა ის, უდაბნოდან რომ მოდის,

როგორც კვამლის ნაკადი,

6. მურისა და საკმევლის წევით

და ვაჭრის ყოველგვარი ფხვნილი წამლებით?

- აგერ ტახტი სოლომონისა,  
 მას სამოცი გმირი გარს არტყია
7. ისრაელის გმირებისაგან;  
 ყველას ხმლები უკავია,  
 ბრძოლაში გაწვრთნილები არიან,
  8. ყოველ მათგანს ხმალი თეძოზე აქვს  
 ღამეების შიშით.  
 ტახტრევანი გაიკეთა სოლომონ მეფემ  
 ლიბანის ხეებისაგან:
  9. სვეტები გაუკეთა ვერცხლისა,  
 მკლავსაყრდნობი ოქროსი,
  10. საჯდომი — მეწამული,  
 შიგ კი მოქარგულია სიყვარული  
 იერუსალიმის ასულთაგან.  
 გამოდით და შეხედეთ, სიონის ასულნო,  
 სოლომონ მეფეს
  11. იმ გვირგვინში, რომლითაც დააგვირგვინა მისმა  
 დედამ  
 მისი ქორწილისა  
 და მისი გულის სიხარულის დღეს!
- \* \*

## 4.

მშვენიერი ხარ, მეგობარო, მშვენიერი —  
 შენი თვალები მტრედებია

1. შენი პირბადის ქვეშ.  
 შენი თმები თხების ჭოგია.  
 გილყადის მთიდან რომ ჩამოეშვენ.

- შენი კბილები გაკრევილი ცხვრის ჭოგია,  
საბანაოდან რომ ამოვიდენ;
2. ყველანი ტყუპებს ჰქალებენ  
და ბერწი არ არის მათ შორის.  
წითელი ძაფია შენი ტუჩები  
და შენი პირი ლამაზია;
  3. ბროწეულის ნაჭერია შენი საფეხური  
შენი პირბადის ქვეშ.  
შენი ყელი დავითის კოშკია, სავარჯიშოდ აგებული;  
ათასი ფარია მასზე ჩამოკიდებული
  4. ყველა – გმირების ფარებია.  
შენი ორი ძუძუ,  
ნიამორის ტყუპები,
  5. შროშანებში რომ სძოვენ.  
სანამ დღე აგრილდებოდეს  
და ჩრდილები გაიფანტებოდენ
  6. წავალ მურის მთაზე  
და საკმევლის ქედზე.  
ფრიად მშვენიერი ხარ, მეგობარო,  
და შენში ნაკლოვანება არაა.
  7. წამოდი ჩემთან ლიბანიდან, დედოფალო,  
ჩემთან ლიბანიდან!
  8. გამოეშურე ამანის მწვერვალიდან  
სენირისა და ხერმონის მწვერვალიდან  
ლომების ბინებიდან,  
ვეფხვების მთებიდან!

- შენ ჩემი გული დაატყვევე, ჩემო დაო, დედოფალო,  
 ჩემი გული დაატყვევე ერთი შენი თვალით,
9. ერთი ფარლულით შენ ყელზე.  
 რა მშვენიერია შენი ალერსი, ჩემო დაო, დედოფალო,  
 რამდენად სჭობია შენი ალერსი ღვინოს
  10. და შენი ზეთების სუნი ყოველ სურნელებას.  
 გოლეულს სწვეთავს შენი ტუჩები, დედოფალო;  
 თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ
  11. და შენი ტანისამოსის სუნი ლიბანის სუნია.  
 დაკეტილი ბალი ხარ, ჩემო დაო, დედოფალო,  
 დაკეტილი ნაკადული, წყარო დაბეჭდილი.
  12. შენი შტოები ბროწეულის წალკოტია,  
 ძვირფასი ნაყოფებით,
  13. კვიპრებითა და ნარდებით;  
 ნარდი და ზაფრანა, ქურქუმა და კინამო  
 საკმევლის ყველა ხეებით;
  14. მური და ალო  
 ყველა მთავარი სურნელებებით;  
 ბალების წყარო,  
 ცოცხალი წყლის ჭა,
  15. გამომდინარენი ლიბანიდან.  
 გამოილვიძე ჩრდილოეთის (ქართ)  
 და მოდი სამხრეთის (ქართ)!
  16. გააგრილე ჩემი ბალი,  
 იწვეთოს მისმა სურნელებამ!  
 —მოვიდეს ჩემი საყვარელი თავის ბაღში  
 და სჭამოს ძვირფასი ნაყოფები!

## 5.

—შევეღი ჩემ ბაღში, ჩემო დაო, დედოფალო,  
მოვკრითე მური ჩემი სურნელებით, —


1. ვჭამე ჩემი ფიჭა ჩემი თაფლით,  
დავლიე ჩემი ღვინო ჩემი რძით...  
—სჭამეთ, მეგობრებო, სვით და დაითვერით, საყ-  
ვარლებო!

\* \*

მე მძინავს და ჩემს გულს პლვიძავს;

ხმა! ჩემი საყვარელი არაკუნებს:

2. „—გამიღე ჩემო დაო, ჩემო მეგობარო,  
ჩემო მტრედო, ჩემო წმინდა,  
რადგან თავი ამევსო ნამით,  
ხუჭუჭი — ღამის წვეთებით“.  
გავიხადე ჩემი კვართი, როგორდა ჩავიცვა?  
დავიბანე ფეხები, როგორდა გავისვარო?  
3. ჩემმა საყვარელმა ხელი გამოჰყო ნახვრეტიდან  
და ჩემი შიგნეულობა აირია მისთვის.  
4. ავდექი, რომ გამეღო ჩემი საყვარლისთვის  
და ჩემი ხელები სწვეთდა მურსა  
5. და ჩემი თითებიდან მური გადადიოდა  
კარსაკეტის სახელურებზე.  
გავულე ჩემს საყვარელს...  
...ჩემი საყვარელი გაქრა წავიდა...  
6. სული აღმომხდა, როცა ის ლაპარაკობდა!..  
ვეძებე და ვეღარ ვიპოვე,  
ვუძახე და არ მიპასუხა.



მიპოვეს ყარაულებმა, რომლებიც გარს უვლიდენ  
ქალაქს,

7. მცემეს, დამჭრეს;

წამგლიჯეს საბურველი გალავნის ყარაულებმა.

გაფიცებთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო:

თუ პნახავთ ჩემს საყვარელს,

8. რას ეტყვით მას?..

რომ მე ავად ვარ სიყვარულით.

—რით სჭობია შენი საყვარელი სხვა საყვარლებს,  
მშვენიერო ქალთა შორის?

9. რით სჭობია შენი საყვარელი სხვა საყვარლებს,  
ასე რომ გვაფიცებ?

—ჩემი საყვარელი ნათელია და წითური,  
გამორჩეული ათიათასთა შორის.

10. მისი თავი წმინდა ოქროა,

მისი ხუჭუჭი ვაზის კულულებია

11. ყორანივით შავები.

მისი თვალები მტრედებია,

წყლის ნაპირებზე რძეში რომ ბანაობენ,

12. კმაყოფილებაში რომ სხედან.

მისი ლოყები სურნელების ბაღჩაა,

სურნელოვან მცენარეთა კვალია;

13. მისი ტუჩები შროშანებია,

საიდანაც წვეთავს მური მომდინარე;

მისი ხელები ოქროს რგოლებია,

იაგუნდით ავსებული;

14. მისი მუცელი სპილოს ძვლისგან ნაკეთებია,

საფირონებით დაფარული;

- მისი წვივები მარმარილოს სვეტებია,  
ოქროს კვარცხლბეჭზე დაყრდნობილი;
15. მისი შესახედაობა ლიბანისაა,  
რჩეულია ნაძვებივით.  
მისი სასა ტკბილეულებია  
და მთლად იგი ნეტარებაა.
16. ესაა ჩემი საყვარელი და ესაა ჩემი მეგობარი,  
იერუსალიმის ასულნო!

## 6.

—სად წავიდა შენი საყვარელი,  
მშვენიერო ქალთა შორის?

1. საით გასწია შენმა საყვარელმა?  
[გვითხარ] და ჩენ მოვსძებნით მას შენთან ერთად!  
—ჩემი საყვარელი თავის ბაღში ჩავიდა,  
სურნელებათა კვლებში,
2. ბაღებში სამწყესავად  
და შროშანების დასაკრეფად.  
მე [ვეკუთვნი] ჩემ საყვარელს და ჩემი საყვარელი - მე  
შროშანებში რომ მწყესავ.
- 3.

\* \*

მშვენიერი ხარ, მეგობარო, თირკასავით,  
ლამაზი იერუსალიმივით

4. [და] მრისხანე, როგორც [გარი] დროშებით!

მომარიდე შენი თვალები, რადგანაც მათ აღმატროთო-  
ვანეს;

5. შენი თმა თხების ჭოგია,  
გილყადიდან რომ ჩამოეშვენ.  
შენი კბილები გაყრეჭილი ცხერის ჭოგია,  
საბანაოდან რომ ამოვიდენ;
6. ყველანი ტყუპებს ჰბადებენ  
და ბერწი არ არის მათ შორის.  
ბროწეულის ნაჭერია შენი საფეოქელი  
შენი პირბადის ქვეშ.
7. სამოცი არიან დედოფლები, ოთხმოცი-მხევლები  
და ურიცხვი-ქალწულები.
8. ერთი არის ჩემი მტრედი, ჩემი წმინდა,  
ერთია თავისი დედისათვის,
9. რჩეულია თავისი მშობლისათვის.  
დაინახეს ქალიშვილებმა და მოიწონეს,  
დედოფლებმა და მხევლებმა – იქეს.  
–ვინაა ეს, ცისკარივით რომ იცქირება  
მთვარესავით მშვენიერი, მზესავით რჩეული
10. და მრისხანე, როგორც [გარი] დროშებით?  
–ნიგების ბალში ჩავედი,  
რომ მენახა, დაყვავებულა თუ არა ვაზი,
11. გამოუსხამს თუ არა ნაყოფი ბროწეულებს?  
არ ვიცოდი ჩემი სული [თუ მიქადდა]  
ეტლში ჯდომას ჩემი ერის კეთილშობილთა შორის.

## 7.

12.

- დაბრუნდი, დაბრუნდი, სულამით,  
 დაბრუნდი, დაბრუნდი, და ჩვენ [დაგიწყებთ] ცქერას.  
 1. —რად უნდა უცქიროთ სულამითს,  
 როგორც ორწყება ფერხულის თამაშს?

\* \*

რა მშენიერია შენი ფეხები ფეხსაცმელებში, კეთილ-  
 შობლის ასულო!

2. შენი თეძოების სიმრგვალე სამკაულია,  
 ხელოვანის ხელით გაკეთებული.  
 შენი უპე მრგვალი თასია,  
 რომელსაც სასმელი არ აკლია.  
 3. შენი მუცელი ხორბლის ხვავია,  
 შროშანებით გარშემორტყმული.  
 შენი ორი ძუძუ ორი ნუკრია,  
 ნიამორის ტყუპები.  
 4. შენი ყელი სპილოს ძვლის კოშკია;  
 შენი თვალები ხესბონის ტბებია  
 5. ბათ—რაბიმის ჭიშკართან;  
 შენი ცხვირი ლიბანის კოშკია,  
 დამასკისკენ რომ იცქირება.  
 თავი გადგია ქარმელივით  
 და შენი თავის კავები მეწამულია;  
 6. მეფე პატიმარია ხუჭუჭებისა!

რა მშენიერი ხარ და საამო,  
სიყვარულო, ფუფუნებათა შორის!

7. შენი ტანადობა ჰგავს ფინიკს  
და შენი ძუძუები – მტევნებს.  
ვთქვი: ავალ ფინიკზე,  
მოვეჭიდები მის ტოტებს,
9. და, დაე, იყოს შენი ძუძუები ვაზის მტევნები,  
და შენი ცხვირის სუნი, როგორ [სუნი] ვაშლებისა,  
და შენი სასა, როგორც კარგი ღვინო...  
–[რომელიც] ჩასდის ჩემს საყვარელს სწორად
10. და ამეტყველებს დაძინებულთა ტუჩებს...

\* \*

მე [ვეჯუოვნი] ჩემ საყვარელს  
და ჩემკენაა მისი მისწრაფება.

11. წამოდი, ჩემო საყვარელო, გავიდეთ მინდორში,  
ღამე გავათიოთ სოფლებში!
12. ადრე ავდგეთ, [გავეშუროთ] ვენახებში!  
ვნახოთ, თუ დაყვავილდა ვაზი, თუ გაიშალა ყვავილი,
13. თუ გამოილო ნაყოფი ბროწეულებმა;  
იქ მოგცემ ჩემ ალერსს.  
მანდრაგორებმა გამოსცეს სუნი
14. და ჩვენს კარებზე ყოველგვარი ძვირფასი ნაყოფი,  
ახალი და ძველი,  
შეგინახე, საყვარელო!

## 8.

1. ნეტავ ყოფილიყავ ჩემი ძმა,  
დედიჩემის ძუძუს მწოვნელი!  
გიპოვიდი ქუჩაში, გაკოცებდი,  
[და] არც დამძრახავდენ.
2. წაგიძლვებოდი, მიგიყვანდი დედიჩემის სახლში;  
შენ მასწავლიდი,  
მე კი გასმევდი სურნელოვან ღვინოს  
და ჩემი ბროჭეულების წვენს.
3. მისი მარცხენა ხელი ჩემი თავის ქვეშაა,  
და მისი მარჯვენა – მეხვევა.
4. –გაფიცებთ თქვენ იერუსალიმის ასულნო:  
რად აღვიძებთ და რად აფხიზლებთ სიყვარულს,  
სანამ მოინდომებდეს?

\* \*

5. ვინ არის, უდაბნოდან რომ ამოდის,  
დაყრდნობილი თავის საყვარელზე?  
–ვაშლის ქვეშ გაგაღვიძე,  
იქ გშობა დედაშენმა,  
იქ გშობა შენმა მშობელმა.
6. –დამისვი, როგორც ბეჭედი შენს გულზე,  
როგორც ბეჭედი შენს მკლავზე,  
რადგანაც ძლიერია სიკვდილივით სიყვარული,  
სასტიკია ჭოჭოხეთივით შური;  
მისი ნაკვერჩხლები – ცეცხლის ნაკვერჩხლებია,  
ღვთაების ალია.

7. მრავალ წყალს არ შეუძლია ჩააჭროს სიყვარული  
 და მდინარეებიც ვერ წალექავენ მას;  
 კაცმა რომ მისცეს მთელი თავისი ქონება სიყვარული-  
 სათვის,  
 შერცხვენით შეარცხვენენ მას!

\* \*

8. პატარა და გვყავს  
 და მას ძუძუები არა აქვს;  
 რა ვუყოთ ჩვენს დას  
 იმ დღეს, როცა მის შესახებ დაგველაპარაკებიან?
9. ის რომ გალავანი იყოს,  
 ზედ ვერცხლის დარბაზს ავაგებდით,  
 და კარი რომ იყოს,  
 ნაძვის ფიცრით ამოვაშენებდით.
10. —მე გალავანი ვარ  
 და ჩემი ძუძუები კოშკებია;  
 მაშინ მე ვიყავი მის თვალში სათნოების სათავე.
11. ვენახი ჰქონდა სოლომონს ბაყალ — ჰამონში;  
 მისცა ვენახი ყარაულებს;  
 თვითეულმა უნდა შემოიტანოს მის ნაყოფში ათასი  
 ვერცხლი.
12. ჩემი ვენახი ჩემ წინაშეა.  
 ათასი შენ, სოლომონ,  
 და ორასი მისი ნაყოფის ყარაულებს!

13. —ბალებში რომ ზიხარ!  
ამხანაგები ყურს უგდებენ შენს ხმას;  
გამაგონე!
14. —გაიქეცი, ჩემო საყვარელო,  
და დაემსგავსე ნიამორს ან ირმის ნუკრს  
სურანელოვან მთებზე!

1923, IV, 10–17

ქ. ტფილისი



## მესება.

(ძოვნად გალაკტიონს).

•••და მაგონდება ებრაელის მაღლიერ ერმა—  
უბედურებას როცა ბედი იმას შესძენდა  
და როცა ირგვლივ შემოფანტა ის ძლიერ მტერმა  
—როგორის ჩრდენით, სასოებით შეჰქმნა ლეგენდა:

„შორეულს და ბნელს მთებს იქით, ვით მეზღვაური  
სამვატიონი სდგას ამაყად ბევრი წლებია  
ყველას შიშსა ჰგვრის ამ მდინარის აურზაური  
რომლის ტალღები მხოლოდ ლოდი, ცეცხლი, ქვებია.

„მხოლოდ მეშვიდე შაბათის დღეს ის დაისვენებს  
და გადიქცევა ნაზი, წყნარი როგორც ასული  
ამ დღეს ყურს უგდებს გარეშემო ბრბოს, ხალხისა ენებს,  
მხოლოდ დღეს არ დუღს მის ტალღებში ცოდვილთა  
სული.

„და სადაც რისხვით ისპობიან ის ცოდვილები  
იქით ნაპირზე ბალი არის დღესაც დარგული  
და იქ ცხოვრობენ უნახავი, ერის შვილები  
ათი მოძმეთა ეროვნება გადაკარგული.

„და ეს საზღვარი, ძლევით სავსე სამვატიონი  
უცბად გაქრება, დაილევა და სწრაფლ დადნება  
გადაიქცევა ეს მდინარე როგორც სიონი  
და თვით მესსიაც ამ ადგილზე გამოცხადდება“!...

.....

და როცა პირზე მომადგება სამვატიონი—  
„ის“ მახსენდება: როგორ მტერს ძლევით შეესია

დაიწყო ნგრევა, წინ წავიდა გალაკტიონი  
მიტომაც მასში მსურს ნამდვილი ვნახო მესსია  
ტფილისი.

გერცელ ბააზოვი.

## ლეგენდებიდან: სამი მარსალი

### 1. პალევი

ის მეფე იყო, მეფე მგოსანთა, და მისი ჩანგიც  
კვნესდა ამაზე.  
ქაოსის დროში მან ერთად ერთმა ამცნო ნამდვილი  
სულს სილამაზე.  
ბევრი ამხედრდა ... გამოეკიდა, დაეწყვნენ რიგად,  
გაიქცნენ ერთად,  
მაგრამ ბოლო დროს მუხლი მიიპყრეს და მხოლოდ  
ის სცნეს მგოსანთა ღმერთად.

.....  
მგოსანი იყო, გაგიჟებული თავის სამშობლო  
არე-მარეთი.  
მისი ცხოვრება რომანი იყო: იმას უყვარდა აღმო-  
სავლეთი!

„ვერც ისპანია მომაჯადოვებს, თუმცა ტყვედა ვარ,  
აქ, დასავლეთში,  
„მაგრამ ეს გული მარად იქნება იქ ნეტარების  
აღმოსავლეთში...  
„განა სასმელი პირს დაუტკბება, როცა ჩემს სიონს  
აკრავს მტრის რკალი,  
„და მე კი მის ძეს, მის მეოცნებეს, სქელი ჭაჭვები,  
არაბთა ბრჭყალი?  
„შემომიფიცავს, მოგძებნო სიონ! და თუ აღარ გყავს  
შენ მეფეები  
„და იმათ ნაცვლად კვლავ მოგვევლინენ შხამით  
აღსავსე გველეშაპები –  
„მაშინ სამშობლოვ, ვფიცავ, რომ ჩემთვის  
ძვირფასი არის თვით შენი ქვები  
„და აღტაცებით მას მოვეხვევი, ამით ხომ მაინც  
მაშინ დავტკბები?  
.....  
მთელი გენიით, შემოქმედებით გზა გაუკათა გონების  
აზრებს

და წყნარ ატლანტის ოკეანეში ჰიმნი უმღერა მის  
ძლიერ ტალღებს...  
ზღვის სილრმეშია. მიემგზავრება. ასპარეზს უხსნის  
თვით გრძნობებს კრებულს  
და ფსკერს ჩასკერის, სურს საიდუმლო, რომ გამოს-  
ტაცოს ზღვას აღელვებულს!

იერუსალიმის ჭიშკარს მიადგა, ძლიერსდა მოასწრო  
გორის მან დაბმა  
და რომ დაემხო დედამიწაზე, გადაუარა მაშინ  
არაბმა...

როცა მგოსანმა ჰპოვა სამშობლო, ცრემლით ალხობ-  
და მის ტურფა არეს,  
შავი არაბი მას ცხენით სრესდა და უმზადებდა  
მუდმივ სამარეს. —

გული იჯერა, იქმარა ცრემლი. მოკვდა ჰალევი,  
გაქრა ვარსკვლავი  
და საიდუმლოდ იქცა მას შემდეგ გადაკარგული  
მგოსნის საფლავი.

„ბალაპტიონ ტაბიძის შერნალი“.  
1923 წ. № 8

## 2. ბან-გაპირობები

ესპანეთში, როდესაც გაზაფხულის ბუნება  
შეიმოსა ფერებით: წითელით და სოსანით,—  
როცა მუხუც ერის სისხლს არ აჩნდა მოდუნება.  
მაშინ სისხლის ამ ზღვაში დაიბადა მგოსანი.

უბინაოს საფარი შეიქმნა შარა-ქუჩა.  
თუ ვინ ჰყავდა მშობელი, იმან ეს არ იცოდა.  
მომავალმა ცხოვრებამ ბავშვი ვერ დააყუჩა.  
მთელი თავის სიცოცხლე ტანჯვის ცეცხლით იწოდა!

ვალენტინი. მალაგა. სარაგოსა. კორდოვა,  
ყველგან ფიქრთ ოქეანე მოაწვა, მოესია.  
მაშინ ლექსის წყურვილმა გულში ძლიერ მოთოვა.  
დაისახა მას შემდეგ მან მიზნად: პოეზია!

მხოლოდ ლექსმა, მხოლოდ მან მგოსანი შეიფარა  
და შეეკრინენ ერთმანეთს ცრემლებით ნაგუბები.  
ერთადერთმა მან მხოლოდ მგოსანი შეიყვარა  
და შეეკრინენ ერთმანეთს ბუნებიდან ტყუპები.

„ოქვემეტი წლის ბავშვი ვარ, ოთხმოცი წლის  
ძლეული.

თავადი ვარ – ბატონი, ლექსი – ყმა-მსახურია.  
ჩონგური ვარ ყველასი; მიწაზე მაქვს სხეული,  
ხოლო სული დაფრინავს, ღრუბლებს თავს ახურია“.

ხედავდა რომ არ ჰქონდათ თანამოძმეო სისხლს ბოლო  
და დევნილი ერისოფვის შეუდრევებულად იღწვოდა.  
მაგრამ მისი ცხოვრება იყო ერის სიმბოლო:  
დიდ კოცონზე ორ ცეცხლში სანთელივით იწოდა!

მას მოუკლეს თავისი ძვირფასი მამობილი,  
ინუგეშებს თავს იმით, რომ ლექსს ის გააჩალებს...  
და დასწყევლა ცხოვრება, ცხოვრება დაგმობილი,  
როცა დონ ჰანაგიდიც ჩაუვარდა ყაჩალებს!

მაგრამ ახსოვს, მიმართავს, ლექსის წერის თვისებას.  
ამშვიდებდა მგოსანი დამშვიდებულ გულს ამით.  
ყველგან ლექსი უნგრევდა ტანჯვის ფიქრთა მისევას  
და დამღერდა თავის ლექსს, ვით სოლომონ –

სულამითს!

ერის გულში ღრმა ბინა, შესაფარი იშოვნა  
 მოქმედება მგოსანის რადგან ზეკაცს შეშვენდა.  
 და ამიტომ გვირგვინით, რომ შეემკოთ მის ხსოვნა  
 მისმა ერმა მიუძღვნა ეს ლამაზი ლეგენდა:

არაბების მგოსანი შურის ცეცხლით იწოდა  
 და იმის მოსასპობად მწარე აზრი გაჩარხა.  
 ლექსის შეთხზვა რადგანაც იმან უკეთ იცოდა,  
 მოჰკლა ჩუმად და ბალში ის ლელვის ქვეშ დამარხა.

და ამ ლელვმა ზამთარში უეცრად გაიხარა.

ეს ამბავი ეოცათ იქაურ მრევლ-ჭამაათს,  
 და როს მეფე სხვა ხალხთან საკრეფად დაიხარა,  
 ნახეს, იმ ხილზე ტკბილი არაფერი ეჭამათ!

არაბს პკითხა მიზეზი... იდგა იმ დროს ქარბუქი  
 ხალხი თვალყურს ადევნებს თოვლის ფიქქებს,  
 შენაბერს...

მოაგონდა მავრს მაშინ დამარხული ჭაბუკი  
 და კანკალით თვით მეფეს ის უამბობს ყველაფერს.

—ახლა მივხედი, გავიგე... მავრთ მეფემ დაიძახა—  
 ასული ხომ ლელვია, ვარდებით შერაზული?  
 მის სიმბოლო ეს იყო, მიზნად ეს დაისახა,  
 იმას მარად პირს ადგა „იუდეველთ ასული“!

„გალაპტიონ ტაბიძის შერნალი“.  
 1923 წ.

## ივნისი ტფილისზე

(განიამინს)

..და შენი საყვედური სამგვარად დათენთილი  
ნუთუ ჭერ ვერ გაიგე ჩემთვის ის რომ მეტია.  
ყველაფერი აქ, როგორც – აღგებრის გაკვეთილი  
არის ძველი ამბავი და ძველი კომედია!

აქ მზე ხრაკავს გამვლელებს ანთებული ქურათი.  
და ფიქრების გუშაგი ვერაფერს სულში ვერ სტევს.  
მხიბლავს მე ჩევნს ოთახში ორჯერ ასი სურათი,  
და ოცნება იმაზე, რომ შევტრაფი უნივერსიტეტს.  
აი, რითი ვერთობი, ესა მაქვს გახარება.  
ყველაფერი ამაში ვისურვე მომექცია  
და ამიტომ იცოდე: მწამს როგორც სახარება  
მაგიდაზე ნასვენი რითმების კოლექცია!

ლიბანის და იაფოს, იორდანის მნახველი  
თავის ჭოხით, გრძელ ჭოხით უეცრად მოგვემატა.  
აღარ მართობს მე ვერც ის, არ შეჩერდა ნალველი.  
ვიტანჯები, ვსასტიკობ, ვით მღვდელი ტორჩვემადა.  
ვერ მამშვიდებს მე წიგნი: მარანის „ბატუალა“  
უშედეგოდ გავცეითე ტფილისის თეატრები.  
ყველა შუბლზე ატარებს წარწერას: მატყუარა  
და ამგვარ სახვსეთში მხოლოდ შენ მენატრები!

აღარ არის ხალისი, აღარ მყავს ნაცნობობა.  
 ვიცი არ დაიგერებ, ვფიქრობ: რით დაგაჭერო,  
 რომ მე შენგან აღმოვთხვრა მაგ ეჭვების ობობა  
 მაშინ უნდა გადვიქცე თვითონ მიქელ ანჯელოდ!  
 ვერ გამომწოვ ამაყ წვენს, რაც გინდა მამარილო,  
 მწამს მძლავრი მეგობრობა და მიყვარს შენი: ამინ  
 სახავსეთში დამრჩება რითმების მარმარილო,  
 და ჩემს კარგ მეგობრებში სახელი: ბენიამინ!\*

\*ბენიამინ გ-ლი. გერცელ ბააზოვის ახლო  
 მეგობარი და თანამებრძოლი სიონისტი.  
 1922-1923 წლებში (ჩვენი ოჯახის თბილისში  
 გადმოსვლამდე) ცხოვრობდნენ ერთად თბილი-  
 ისში არქივის ქ. 22-ში, (დღეს საიბონოვას  
 ქ.). დაპატიმრებულ იქნა 1952 წ. გამოიების  
 პროცესში წამების შედეგად დაბვადდა და  
 განთავისუფლებიდან რამდენიმე თვის შემდეგ  
 გარდაიცვალა 1953 წ.

ვ. ბააზოვი

## იუდევალი

თეთრ-ცისფერ ცაზე გაფრენა მინდა,  
 იქ სიცოცხლე და ცრემლის ლვარია,  
 ადამიანმა ხმა გაიქმინდა,  
 იგი დამუნჯდა და საზღვარია.

სიტყვა ცოცხალი მალე ნელდება,  
 სიტყვა ნაელვი დარჩა ისეთი,  
 სულის განძრევა გაუძნელდება,  
 ამოივსება მთლად სანისლეთი.

უცხოა მისთვის თავის შექება,  
 გაირინდება ვით ტყის ნაფოტი,  
 მაგრამ სჩვევია მას აფეთქება,  
 შემდეგ წამება და ეშაფოტი.

მთელი მსოფლიო სურს გაახუროს  
 ტვინის წამებით და მოფერებით,  
 ამ იუდეველს ესვრიან უროს,  
 რომ შეიმოსოს ათას ფერებით.

მაგრამ სიკაუე მისი ხვედრია  
 და სიამაყე დაიკოცნება,  
 ბევრი სიძნელე მას შეხვედრია  
 და შეუნახავს თეთრი ოცნება.

ეპი. „თმატრი და ცხოვრება“.

1924 წ.

## გილიოზინა

დამ 9 აპის - 1856 წ

აღმოსავლეთი ბაბილონშა გაანადგურა,  
 სძლია უდრევი ბორკილებად, მძიმე ლოდინად.  
 ლიბანის მთები გადაიქცა სისხლის სადგურად  
 და დამონებულს გადუწყვიტეს: გილიოზინა!

შავი ეკრანი, მოჩვენება, წამების ბინა.  
 შველა არსაით. დიასპორა თავის უარით.  
 დღეს საუკუნემ მეცხრამეტედ გადაირბინა  
 და კვლავ გაისმა საზარელი ხმა რიტუალის.

ოჰ, ეს პასექი... მუდამ ისმის შიშის ნიშნები,  
 მიათრევს ზლაზვნით დახოცილებს ურემი ათასს,  
 ეს ბეილისი, ეს კიევი და კიშინევი  
 მუდამ მაგონებს ყოველწლობით ერემიადას.

და ეხლა, როცა ხელში ვფურცლავ  
 წიგნებს გლოვისას,  
 სადაც ვკითხულობ როგორ გავხდით  
 საფქვავ როდინად,  
 მომაგონდება დიდი სახე სისხლის მწოვისა  
 და სამართალი საშინელი: გილიოზინა!

კრულვა მარადი და კედლებში ძებნა გამჩენის,  
 ამაყ ისრაელს აღარ ძალუს სევდა დაპკეტოს.  
 დიდი ხანია წაუკითხეს მას განაჩენი  
 და სამუდამოდ მიაკრეს ის ხავსიან გეტოს.

.....  
 სანთლები ჩაქრა, სმენად იქცნენ თანამოძმენი,  
 წლების სათვალავს მოუთმენლად მაშინ ელიან  
 აგარაკი და ნელი წვიმა გახდნენ მოწმენი,  
 ითქვა ის რიცხვი, აკანკალდნენ: საშინელია!

ნილოსი, დნეპრი, ვისლა, რეინ და მანსანარე  
 ალბათ ამ წუთში გადაიქცნენ მძიმე ლოდინად,  
 დღეს მომავალი დაიკივლებს ექოს საზარელს:  
 გილიოტინას შეაგებეთ გილიოტინა.

თაღვერი. 9 აბის დამვ.

რეპ. „თბილი და ცერვება“,  
 1924 წ.

## მარადი მაზავრის მოცელობიდან...

... და მე მივდივარ უსვენებლივ სულ ზევით, ზევით,  
განვლილი გზები გარდამექუნენ შხამის ენებად,  
ოჰ, დავიღალე ღამეების ამდენი თევით  
და არ მეღირსა ჭერჩერობით მე მოსვენება.

ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, რომი, ათინა  
თითქოს ეკრანზე იცვლებოდა და მიღიოდა,  
ჩემმა მძღე სულმა ელლინები მწარედ აცინა,  
მაგრამ მომნათლეს მე ვეღურად და იდიოტად.

გაჩნდა კოცონი, ვეღარ შევძელ მის განელება,  
ორჯერ ათასი წელიწადი — მის ნადირია,  
ძალითა სურდათ მოვენათლეთ ესპანელებად  
და ყრმა მსახური გოლგოთისა სულ გადირია.

განა როდისმე დავისვენებ, ჩემო მესია?  
მტერმა წალეკა და ლამპარი აუნთო დაბებს,  
ტორკვემადები იერიშით შემომესია  
და საცეცხლური გაუღვივა აუტოდაფებს.

დაპერარით საყვირს და აცნობეთ ყველას და ყველას,—  
მაქვს გასავლელი სივრცე გრძელი და უტიერი,  
მარადი მგზავრი გადაექცა ერებს ნაღველად —  
გზა დამიცალეთ! მე მოვდივარ — იუდეველი!

ტფილისი

ეპრ. „თეატრი და ცერველება“.

23/XII, 1923 ვ.

## პაილი

ფერმკრთალ სახეზე ნისლი დაწვება,  
გაარღვევს წრეებს უცხო საბელი  
და დაიღვრება ცრემლი ღაწვებად:  
ორი ათასჯერ კვდება აბელი.

მიემატება ერის წმინდანებს  
ნაცნობი ძველი: სისხლის საინი  
და ცოდვას მაინც არ შეინანებს  
თმააბურძგვნილი სახე კაინის.

ქაფების კართან სული დააბა.  
წმინდა, უკვდავი დაპგმო ტაძარი,  
„კაინ, შენი ძმა, საღაა აბა“,  
მოესმის მუდამ ეს ხმა საზარი.

იყო ამაყი, ვით კეისარი,  
და არა გრძნობდა ტანჯვას სადარისს,  
მაგრამ ხვდებოდა მის მკერდს ისარი:  
„კაინ, შენი ძმა, მითხარ, სად არის?“

არსად საშველი ბედი ტიალი,  
თავისი ხელი ყველგან ამეფა,  
მაგრამ მობეზრდა მას ხეტიალი  
და შერჩა მხოლოდ გესლი, წამება.

და მრისხანებამ სძლია, შეეხო,  
შედრკა გულადი, ღონეუკლები,  
სასტიკი იყო ბუნების ეჭო  
და უცოდველი როგორც ნუკრები.

ტანგვა მარადი, ფიქრთა აგება,  
უსაზღვროება, არსად საბმელი.  
ჰქუს და მრისხანებს ზევით განგება:  
„კაინ, სად არის, მითხარ, აბელი!“

და აღარ სთვლიდა სიკვდილს იოტად,  
აივსო ჭიქა, ბრაზის სტრიქონი,  
„სიკვდილი მინდა“, —ის გაჰკიოდა,  
როგორც საყვირი იერიქონის.

„არა და არა! სიკვდილი გსურდა?  
მაშინ შენ ამას აღარ იზამდი.  
შენი სიცოცხლე მე არ შემშურდა,  
იცოცხლებ, კაინ, უკუნისამდე!

„სატანავ, ჭავო, მოლით, მიშველეთ...“  
კაინი ბრაზობს, მას შემდეგ ყვირის,  
და ისმის ჯვარცმა, სისხლი, სისველე  
წამება წლების, თვეების, კვირის...

\* \* \* \* \*

მატულობს სისხლი, როგორც კრებული...  
კაინმა ჰლვარა, მიწამ იზიდა  
და დღესაც ჰქივის გააფორებული  
სისხლი აბელის დედამიწიდან.

დავ 9 აბის,  
აბარაპი გორჯომი.

ძერნ. „ოქათოი და ცხოვრიბა“,  
1924 წ.

## მაკაველი

უნუგეშობამ შეარყია სულის ფიცარი.  
ძაძით შეჰმოსა ებრაელთა მთა, ვაკე, ველი.  
ვერ ამხნევებდა ერს ემბლემა დასაფიცარი  
და უცბად გაჩნდა იეუდა მაკავეელი!

ქედმოუხრელი და ამაყი. გმირი მხნედ არის,  
მხარს უმშვენებენ მისი ძმები, როგორც სანთლები,  
ულმობელია ოლიმპივით დიდი მხედარი,  
ააკანკალა საბერძნეთის ყველა სარდლები.

და ბრძოლის ველზე წმინდა სისხლი თუმც მან დაპლვარა  
ერი ჩაგრული ნეტარებას ისევ ეღირსა.  
წმინდა მიზანი შეასრულა იმან ამგვარად,  
რადგან უძლოდა ნებისყოფა ამაყ ერისა!

· · · · ·

ვატარებთ სახელს: წამებული და მგლოვიარე,  
შიშველი მკერდი გამუდმებით ეკალს ედება.  
მსოფლიო ძველი და ახალი შემოვიარეთ,  
მაინც მედგრად სცემს ურყეველი სულისკვეთება.

გამოიცვალა საუკუნე აგერ მეოცედ,  
გაგანიერდა ტანჯვებიდან ხელის მტკაველი  
მაგრამ ჩვენ ისევ ახალ გზებში არ გავიოცებთ  
დარჩება მარად ჩვენ სიმბოლოდ: მაკავეელი!

ტფილისი.

10 თებერვალი 1924 წ.

გაზ. „მაკავეელი“,  
1924 წ. № 1

## მოგონება 14 ადარის

როცა გაავსებს სისხლის ხაზებს შავი რვეული,  
 და ნარ-ეკალი სუსხიანი ჩემ გზებს ედება –  
 შეიკუმშება ყვავილების ნორჩი სხეული  
 და მკერდში ნექტარს გადმოსწვეთავს ტკბილ იმედებად.

ცრემლის ღვარები რომ ჩამოდის მძიმე ღვარებად  
 ვერსად შეხვდებით ოკეანეს მის შესაძარისს –  
 მაგრამ არ მაკრთობს, არ მაშინებს გადაგვარება,  
 როცა იელვებს მოგონება თოთხმეტ ადარის.

როცა მტარვალი გაიზარდა ათიათასად  
 და თაყვანს სცემდა მთელი ხალხი კრძალვით, რიგებად –  
 გამოანათებს წყვდიადიდან მაშინ აღასა  
 და მორდეხაი... თაყვანს არ სცემს, არ იდრიკება!

„არ შემიძლია მე მოთმენა კერპის, ჭიუტის,  
 გამოსავალი წყეულთათვის ნეტავ სად არის?“  
 ბრაზით გაპყივის და დიდ მტარვალს რული მიუდის  
 და კენჭი ჰყარა... შერჩა რიცხვი თოთხმეტ ადარის.

და ბრძანებაა: „ამოძრავდეს ყველა ენები,  
 მთელ სამეფოში ეს ამბავი სწრაფლად იწეროს,  
 აღარ აცოცხლონ, ამოხოცონ ისრაელები  
 ამ მომავალ დღეს – თოთხმეტ ადარს – საბედისწეროს“...

მძიმე ლოდინი მომავალი ტანჯვით ნაფერი  
 გულის ჩოჩქოლი უცნაური, მწუხრი ენების.  
 „უნდა დასრულდეს ერთის დაკვრით აქ ყველაფერი,  
 რომ არ ეღირსოთ სიტკბოება კვლავ გათენების“...

წარსდგა ესთერი მძლავრ მეფესთან ვით წამებული,  
ისრაელი კი მთელ სპარსეთში არსად იქება,  
სასაკლაოზე როგორც ცხვარი გამზადებული  
ქედს არ იხრის, აქვს იმედი, არ იღრიკება!

როცა გაავსებს სისხლის ხაზებს შავი რვეული,  
და ნარ-ეკალი სუსხიანი ჩემ გზებს ედება —  
შეიკუმშება ყვავილების ნორჩი სხეული  
და მკერდში ნექტარს გადმოსწვეთავს ტკბილ იმედებად.

გადატრიალდა ყოველივე... და ეს დღე რისხვის  
იქცა ზეიმად და ლხენის დღედ — დიდის, პატარის.  
ათასი წლები საზღვარია დიადი რიცხვის,  
რომელიც დაგვრჩა მოგონებად თოთხმეტ ადარის.

5 ადარი ||

ქ. ტფილისი

გაზ. „მაკავევლი“,  
1924 წ. № 3

## ეპრაული გელოდია

(ბაიროითის)

სული ღელავს, სული სწუხს, მომღერალო, მაშ ჩქარა  
აგერ შენთვის მზადაა ჩემი ოქროს ჩონგური  
და შენ ხელის თითებმა მასზე რომ გაიარა  
გააღვიძონ სიმებში ხმა ტკბილი სამოთხური.

და იმედი თუ მარად ბედისწერამ არ შთანთქა  
მაშინ მკერდში უთუოდ იმასაც ეღვიძება.

და თუ ჩამქრალ სახეში წვეთი ცრემლი კიდე სდგა  
დამერწმუნე რომ ის იქ გადნება, დაიღვრება.

დე სიმღერა ეს შენი იყოს თუნდ ველურია.

როგორც ჩემი გვირგვინი მხიარული მძაგს ხმები,  
გეუბნები მგოსანო, მე ცრემლები მწყურია  
იგლიჯება გულ-მკერდი, საგსე არის სევდებით.

მომღერალო რად მკითხავ ტანჯვით ვით საზრდოობო  
ოხრავს მკერდი უსიტყვოდ, ბრწყინავს როგორც ალმასი  
და მრისხანე საათი ჩამოდგა და გაივსო  
როგორც გესლი აღსავსე და სიკვდილის შხამ-თასი.

თარგმანი რუსულიდან  
ონის მოწაფეთა სალიტერატურო წრის  
ჟურნალი „ონი“ № 1, 1922 წ.

ონი

რაჭის სამაზრო სტამბა

(იბეჭდება კრებულიდან:  
„დავიდ და გერცელ ბაბაზოვები“  
იერუსალიმი-თელ-ავივი, 1976 წ.)

## ს. შექურ

### მას

თვით მაშინაც კი, როს მოვკვდები, უკანასკნელ წუთს.—  
და დამჭერარ გულში ცხელი სისხლი გამეყინება —  
თვით მაშინაც კი ვერ იტირებ და გაოცდები:  
აღბათ მაგ გულმა ეს ამბავი აღარ ინება.

და ვერ გაიგებ შენ ჩემ სიკვდილს, ვით ვერ გაიგე  
შენ ჩემი სული, როს მოვრალ ჭაბუქს შუბლზე მკოცნიდი.  
ვერა, ჩემ სიკვდილს ვერ გაგებ და მხოლოდ იგრძნობ:  
ჩემი ლამპარი მარად არის უკვდავი, დიდი.

სტირიან ყვავილს ტყვედ რომ არის შუშის საკანში  
და ვით ჩამომხმარს, ფერმქრთალ ობოლს

უჭინება ზღუდე;

სტირიან კიდევ პატარა ბარტყს, როცა ჩვილია  
და უცაბედად უგზო-უკვლოდ დაპკარგა ბუდე.

მაგრამ ამაყ კლდეს — მარად უკვდავს — არ დასტირიან,  
იგი მედგრად დგას და მონობის მძლავრი მტერია,  
უცბად შეირყა, გადაეშვა დაბლა უფსკრულში  
და დარჩა ბნელი ჭოჭოხეთის ბრმა მისტერია.

თარგმანი ებრაულიდან გერცელ ბააზოვისა\*)

\*ბააზოვისეული ლექსის თარგმანი შემოუნახია მის ყოფილ  
მოწაფეს მორდეს დანიელოვს, რომელსაც გადაუცია მოშე დანი-  
ელოვისათვის, ამ უკანასკნელის ისრაელში გამომგზავრებასთან  
დაკავშირებით.

(იძეჭდება კრებულიდან:

„დავიდ და გმრცელ ბააზოვები“  
იერუსალიმი-თელ-ავივი, 1976 წ.)

յիշում և ըստիկել

ԴԿՅՆ ԵՒ ԵԼԻ: Տաճո, ուժեւ, շնորհ բանեա.  
ՊԵՐԵԼ ԵԼՈՒՅ ԵՐԱ ՀԱՐԱ ՁԵՆԵՐՈ, ԽԵՇ ՎԵՐԳԻՆ  
ԲՎ ԿՅԱՐ, ՀԵՋ, ՅՈՒՆԵՐ ՄԱՐԵՐՈ, ԹՅԱՆԵՐ ԳԵԼԻՆ-  
ՎԵՐԱՆԵԼ ՀԵՋ ՄԱՐԵՐ ՁԵՐԵՐ ԵՐՎԵՐ: ՎԱՀ.

յիշում ԵԿՅՆԵԼ, ԵԶԵԿ ԿԱԵՅՅՈՒ Բ ԵՅԼ ԴԵՐ ՀԵՋԵԼ  
ԵՐՎԵՐ ՀԵՋԻՆ ԵԿՅՆԵԼ ԽԵԿԱՆՈ ԵՐՎԵՐ ԵՐՎԵՐ  
ՑԿԿԵՑ ԱՀԱ ՃԱՆԵՐ ՅԵԿԱՆՈ ԵԿՅՆԵԼ ԵՐՎԵՐ  
ԱԿ ԽԵՋ ՏԵՐՄՈՒ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ

ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ  
ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ  
ԿՅԱՐ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ  
ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ ԵԿՅՆԵԼ

ՅԱՌԱՎՈՒՄ ԱՅԱՑՄԵՐ

ՔԵՐԵՎՈՒՄ, 10 ԶԵՂՈ 1932 թ.

ՊՐԵԶ ՋԵՆՔԵՅՅՈ ՑԵՐԵՎԵԼ ԾԱԱՆՉՈՅՈՍ  
ԵԵԼՆԱՇԵՐՈՍ ՅԱՌԱՎՈՒՄ ԵՐՎԵՐՆԵՐՆԵՐ

## გამოცხვლისაგან

ქართულენოვანი მკითხველი კარგად იცნობს მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების საბჭოთა საქართველოს ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელს - დრამატურგს, პროზაიკოსს და პუბლიცისტს გერცელ ბააზოვს. მისი პიესები დიდი წარმატებით იღებოდა საქართველოს თეატრებში, განსაკუთრებით კოტე მარჯანიშვილის თეატრში.

წინამდებარე კრებულში წარმოგიდგენთ გ. ბააზოვის ადრეული პერიოდის - 20-იანი წლების შემოქმედებას, როცა ის, ჯერ კიდევ ჭაბუკი, თავის კალამს სცდიდა პოეზიის სფეროში. ამ მხრივ გერცელ ბააზოვს ნაკლებად იცნობენ, რამეთუ სვლა იმ კრედოთ, რომელიც ადრე მის მსოფლმხედველობას გამოხატავდა, შეუძლებელი აღმოჩნდა - თუნდაც ფარული ფორმით.

ძველებრაულიდან „გალობათა გალობის“ გერცელი-სეულ თარგმანში იგრძნობა მთარგმნელის სიყვარული და პატივისცემა ძველებრაული პოეზიისადმი. ხოლო ის მცირე რაოდენობის ლექსები, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს, მეტყველებენ მის ეროვნულ-იდეალისტურ აღმაფრენაზე.

მისი მგზნებარე ლექსების სტილი სიმბოლიკაა და ეს უთუოდ გალაკტიონ ტაბიძის გავლენაა.

ჯერ კიდევ 13-14 წლის იყო, ონის გიმნაზიის მოწაფე, როდესაც ქუთაისის გაზეთში „ებრაელის ხმა“ (სადაც მამამისი, დავიდ ბააზოვიც აქტიურად მონაწილეობდა)

დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები ფსევდონიმით „პერ-ბა“ (ის ლექსები დაიკარგა).

1921-1922 წლებში უჩა ჯაფარიძესთან და დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად გამოსცემდა უურნალს „ონი“. ამ უურნალის ინიციატორი იყო გრიშა ჯაფულიძე.

1923 წელს მონაწილეობდა უურნალებში: „ტრიბუნა“, „თეატრი და ცხოვრება“, „გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“ და სხვ.

(ამ პერიოდში იბეჭდება მისი ლექსები, თარგმანები. 19 წლისამ ძველებრაულიდან თარგმნა „გალობათა გალობა“ და დაბეჭდა 1923 წელს, ხოლო 1927 წელს გამოსცა ცალკე წიგნად.)

1923-1926 წლებში იგი ეროვნულ-კულტურული აღმავლობის ინიციატორი და სულისჩამდგმელია.

1924 წელს დავიდ ბაზოვის, ნათან ელიაშვილის და გერცელ ბაზოვის ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „მაკავეელი“, სადაც გერცელი ბეჭდავს თავის ლექსებს: „იუდეველი“, „მაკაბი“ და ისტორიულ მოთხრობას „ალვარ როდრიგოს“.

\*\*\*

ამ კრებულის პირველი ნაწილი (3-25 გვ.) ზუსტად იმეორებს „გალობათა გალობის“ გამოცემას (1927 წ.).

**პოლიც გააზროვი**

F 16679  
2

ବାଲପାତା ବାଲପାତା

ସମ୍ପଦ ପ୍ରକାଶନ  
୨୨୩୧୨ ୨୨୩୧୨



ଶ୍ରୀମତୀ ଶୁଭମତୀ  
(ଶ୍ରୀମନ୍ତିଜ୍ଞାନୀ)

ମାତ୍ରାବ୍ୟାହାର

ମାତ୍ର

ତାଙ୍କୁଗୁଡ଼ି

ବେଳେପାଇଲାର

ମୃଦୁସରା

ପାନିନି

ବାଲପାତା

ପ୍ରେନ-ପାପିକଟାରିଲ୍

ଦେଖିବାର ଉପରେଲାଇଲାଇ

ପାପିକଟାରିଲ୍ ମେଲାନାରା

ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟାର 14 ଅଧାରିତ

ମାରାଧର ମଧ୍ୟ ଦେଖିବାର ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟାର